ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №191438

ნომერი: AR154042

თარიღი : 25.05.2012

გაცემის თარიღი : 01.06.2012

გაცნობის თარიღი : 01.06.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ლესელიძის ქ.15;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავითი ღავთაძე პ/ნ 01030032684
- თბილისი ტყვიავის ქ. N 1

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR154042 25.05.12წ. განცხადება, რომლითაცითხოვთქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ლესელიძის ქ.#15–ის მიმდებარედ არსებულ ღია საზაფხულო კაფეში ხორცის შესაწვავი დანადგარის დროებით განთავსების ნებართვას, გაცნობებთშემდეგს:

ტერიტორია მდებარეობს სახელმწიფო დაცვისა და ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონაში, სადაც ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით ხორცის შესაწვავი დანადგარის განთავსება არ არის მიზანშეწონილი, რამე თუ ამ უკანასკნელის განთავსება შესაძლებელია ლესელიძის ქ.#15–ში არსებულ ობიექტში. აღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური თქვენ მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge